

შპს ტიფლის სითი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2018

		31/12/2018	31/12/2017
	შენიშვნა	000 ლარი	000 ლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები		1,026	705
სავაჭრო მოთხოვნები	5	359	414
გადახდილი ავანსები		115	40
მარაგები		8	8
არამატერიალური აქტივები		3	6
სხვა მიმდინარე აქტივები	4	1,504	1,368
ძირითადი საშუალებები	3	15,555	15,931
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4	72	95
სულ აქტივები		<u>18,642</u>	<u>18,567</u>
სავაჭრო ვალდებულებები		57	52
საგადასახადო ვალდებულებები		2	1
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		65,930	63,009
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
სხვა ვალდებულებები		458	26
სულ ვალდებულებები		<u>66,447</u>	<u>63,088</u>
საწესდებო კაპიტალი		4,200	4,200
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		(27,312)	(25,744)
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		<u>(23,112)</u>	<u>(21,544)</u>
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		(24,693)	(22,977)
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>(47,805)</u>	<u>(44,521)</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>18,642</u>	<u>18,567</u>

შპს ტიფლის სიტი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)
კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები
31 დეკემბერი 2018

	000 ლარი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,208
რეალიზაციის თვითღირებულება	(909)
საერთო მოგება	<u>299</u>
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(330)
სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	<u>(31)</u>
საპროცენტო შემოსავალი	177
წმინდა შემოსავალი დანაკარგი სავალუტო პერაციებიდან	513
საპროცენტო ხარჯები	(3,714)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(1)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	<u>(3,056)</u>
მოგების გადასახადი	-
მოგება/(ზარალი)	<u>(3,056)</u>
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) განკუთვნილი:	
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	(1,568)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	(1,488)

შპს ტიფლის სითი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

1 იანვარი, 2018	000 ლარი
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	(44,521)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(3,056)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(228)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	<u>(47,805)</u>
31 დეკემბერი, 2018	

შპს ტიფლის სითი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა
31 დეკემბერი, 2018

	000 ლარი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,146
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(632)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(193)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	321
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	705
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,026

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ტიფლის სიტი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. იგი რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18.

ჯგუფი შედგება მშობელი კომპანიისაგან და შვილობილი კომპანიებისგან . ესენია:

- შპს “თბილისის უძრავი ქონება”
- შპს „სასტუმრო ჯვრის უღელტეხილი“
- შპს „TC ოფისი“
- შპს „სოლო-ლაკი ინვესტორს“
- შპს „შემოქმედებითი ცენტრი ერისიონი“

მშობელი კომპანიის საქმიანობაა შვილობილი კომპანიების მენეჯმენტი. შვილობილი კომპანიები თავის მხრივ ახორციელებენ კომერციული/საოფისე ფართების გაქირავებას.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ათასი ლარი).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

2. შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან აღიარდება:

- მომსახურების მიწოდებისას;
- საიჯარო მომსახურების დროს ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღისა (გამომდინარე მისი რეგულარული უწყვეტი ხასიათიდან);

ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-სა და ფასდაკლებების გარეშე.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (000 ლარი)	
1 იანვარი, 2018	23,797.00
31 დეკემბერი, 2018	24,230.00
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2018	(7,866.00)
31 დეკემბერი, 2018	(8,675.00)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2018	15,931.00
31 დეკემბერი, 2018	15,555.00

ძირითადი საშუალებების ზრდა 2018 წელს ძირითადად გამოწვეულია მანქანა-დანადგარების შესყიდვით. არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. სხვა მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები:

სხვა მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივებში წარმოდგენილია სხვა კომპანიებზე გაცემული სესხები.

5. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს კომპანიის მიერ დეველოპერული საქმიანობიდან მისაღებ თანხებს.

6. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება საჭირო იქნებოდა.

18 სექტემბერი 2019

ხელმოწერა

დირექტორი

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს კომპანიის მიერ დეველოპერული საქმიანობიდან მისაღებ თანხებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება საჭირო იქნებოდა.

ფ. ნო.

ხელოვნება

ფ. ნო.

დირექტორი

საქართველოს
სამართლებრივი
დადგენილების
სამსახური
205201379

ხელმოწერა
მ. სიხარულიძე
მთავარი ბუღალტერი